საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №15
2016 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25.05.2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი:

„$გ^1$) უზრუნველყოფს საბაჟო კონტროლის სპეციალური საშუალებების დანერგვასა და გამოყენებას, მათ შორის, კინოლოგიური საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაადგილებასთან ბრძოლის მიზნით;“.

2. მე-17 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$კ^1$“ ქვეპუნქტი:

„$კ^1$) სამოსამსახურეო დანიშნულების ძაღლების რეგულარული წვრთნა, მათ მოვლა-პატრონობასა და გამოყენებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელთა სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებლი **გიორგი თაბუაშვილი**